ბრძანება:**ბ32. 322431017**

თარიღი:**05/11/2024**

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე“ #ბ32.322430915-ე ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“და ,,ე.ე" პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის, სქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტარციული კოდექსი“- ს 54-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ #669 დადგენილების მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 მუხლებისა და მე-13 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, პირველი ნაწილის, 36 - ე მუხლის მე - 3 და მე - 4 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა” პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე და 63-ე მუხლების, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2024 წლის 01 ნოემბრის №07-322430620 მოხსენებითი ბარათის **შესაბამისად,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 04 ნოემბრის ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის მიზნით ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე“ #ბ32.322430915-ე ბრძანების მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გადაერიცხოს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“–ს, თანდართული დოკუმენტის სახით, წარმოდგენილ ანგარიშის ნომერზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის მიზნით, ინფორმაციის ვებ–გვერდზე, www.eauction.ge–ზე განსათავსებლად თანხა თითოეულ ლოტზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით სულ 100 ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ანგარიშის ნომერი GE16LB0121192433146005“.

2. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა #113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთავანე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი